

შპს „საქართველოს ფოსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ნოემბერი 2020
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “საქართველოს ფოსტის” მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს-ის “საქართველოს ფოსტა” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა მოდიფიცირების მოსაზრების საფუძველში მოცემული გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს-ს “საქართველოს ფოსტა” ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება 2019 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 3,000 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც 2016 წლის 6 დეკემბერს კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხული იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხასთან მიმართებაში, ასევე, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამასთანავე კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების ღირებულებრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად 41,820 ათასი და 40,393 ათასი ლარის ღირებულებით არის ასახული. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას. ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 3,944 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით საინვესტიციო ქონების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამასთანავე კომპანიას არ ჩაუტარებია საინვესტიციო ქონების

ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საინვესტიციო ქონების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში საინვესტიციო ქონების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახულია 2,502 ათასი და 2,641 ათასი ლირეზღვრებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ მოთხოვნებზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 11,945 ათასი ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებოდა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ ვალდებულებებზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 12,709 ათასი ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებოდა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის

ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული

ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

10, ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

10, ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1000 ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	41,820	40,393
აქტივის გამოყენების უფლება	6	2,234	-
საინვესტიციო ქონება	5	2,502	2,641
არამატერიალური აქტივები	5	290	159
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,846	43,193
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,944	2,924
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	8	11,945	8,989
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	11,684	14,355
დეპოზიტები		37	169
საბანკო გარანტიები		213	213
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	9,914	17,316
სულ მიმდინარე აქტივები		37,737	43,966
სულ აქტივები		84,583	87,159
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი		103	103
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	362	362
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	11	12,709	23,982
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	9,079	6,760
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22,253	31,207
საიჯარო ვალდებულებები	13	2,234	
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	13	8,646	8,646
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	13	432	432
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,312	9,078
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	50,066	47,740
დაგროვილი მოგება (ზარალი)	14	952	(866)
სულ კაპიტალი		51,018	46,874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		84,583	87,159

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-37 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1000 ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	41,820	40,393
აქტივის გამოყენების უფლება	6	2,234	-
საინვესტიციო ქონება	5	2,502	2,641
არამატერიალური აქტივები	5	290	159
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,846	43,193
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,944	2,924
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	8	11,945	8,989
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	11,684	14,355
დეპოზიტები		37	169
საბანკო გარანტიები		213	213
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	9,914	17,316
სულ მიმდინარე აქტივები		37,737	43,966
სულ აქტივები		84,583	87,159
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი		103	103
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	362	362
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	11	12,709	23,982
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	9,079	6,760
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22,253	31,207
საიჯარო ვალდებულებები	13	2,234	-
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	13	8,646	8,646
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	13	432	432
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,312	9,078
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	50,066	47,740
დაგროვილი მოგება (ზარალი)	14	952	(866)
სულ კაპიტალი		51,018	46,874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		84,583	87,159

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-12 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განხორციელების წესებს, დასაშვებ აუდიტორის დისკრეტარულ მოდერული გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1000 ლარში

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	15	83,878	101,974
სულ		83,878	101,974
მარაგების ცვლილება		1,020	(828)
მარაგების შესყიდვის ხარჯი	16	(25,827)	(27,569)
პერსონალის ხარჯი	16	(26,548)	(24,921)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(3,645)	(3,814)
სხვა ხარჯები	16	(29,690)	(44,327)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	9	551	(691)
სულ		(84,139)	(102,150)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(261)	(176)
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	15	345	301
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	3,359	864
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		400	(7)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		3,843	982
მოგების გადასახადი		(17)	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		3,826	982
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		(2,008)	(1,803)
სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,818	(821)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-37 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1000 ლარში

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	15	83,878	101,974
სულ		83,878	101,974
მარაგების ცვლილება		1,020	(828)
მარაგების შესყიდვის ხარჯი	16	(25,827)	(27,569)
პერსონალის ხარჯი	16	(26,548)	(24,921)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(3,645)	(3,814)
სხვა ხარჯები	16	(29,690)	(44,327)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	9	551	(691)
სულ		(84,139)	(102,150)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(261)	(176)
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	15	345	301
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	3,359	864
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		400	(7)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		3,843	982
მოგების გადასახადი		(17)	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		3,826	982
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		(2,008)	(1,803)
სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,818	(821)
ხელმოწერი პირები:			

დირექტორი:

10 ნოემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

შენიშვნები გვხვდება 9-37 წარმოდგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დისკვნა მოცემულია გვხვდება 1-3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1000 ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31/12/2016	48,077	437	48,514
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(326)	(326)
არაფულადი აქტივების შემოტანა			
დამფუძნებლის მიერ	443	-	443
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(208)	(153)	(361)
ბალანსი 31/12/2017	48,312	(42)	48,270
კაპიტალის ზრდა / შემცირება	(572)	-	(572)
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	(821)	(821)
ბალანსი 31/12/2018	47,740	(863)	46,874
კაპიტალის ზრდა / შემცირება	2,326	-	2,326
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	1,818	1,818
ბალანსი 31/12/2018	50,066	955	51,015

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „საქართველოს ფოსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1000 ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31/12/2016	48,077	437	48,514
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(326)	(326)
არაფულადი აქტივების შემოტანა			
დამფუძნებლის მიერ	443	-	443
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(208)	(153)	(361)
ბალანსი 31/12/2017	48,312	(42)	48,270
კაპიტალის ზრდა / შემცირება	(572)	-	(572)
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	(821)	(821)
ბალანსი 31/12/2018	47,740	(863)	46,874
კაპიტალის ზრდა / შემცირება	2,326	-	2,326
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	1,818	1,818
ბალანსი 31/12/2018	50,066	955	51,015

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:



ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:



10 ნოემბერი 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვსვლიან 9-37 წარმოდგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დამსკ მოცემულია გვსვლიან 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	(261)	(176)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,645	3,814
გაუფასურების ხარჯი	949	691
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	345	301
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	(1,342)	(1,803)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	400	(7)
საკურსო სხვაობა ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში	-	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,997	2,996
მარაგების ზრდა	(1,020)	828
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	2,671	(8,116)
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე მოთხოვნების ზრდა	(2,956)	(2,106)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	2,319	1,649
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე ვალდებულებების ზრდა	(11,273)	14,050
ანარიცხების შემცირება	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირება	-	(5)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,523)	9,120
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(3,937)	(3,724)
ძირითადი საშუალებების გასვლა	1,097	2,015
საინვესტიციო ქონების გასვლა	-	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	(17)	(22)
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,857)	(1,731)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	-	(572)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	(572)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(9,380)	6,817
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	17,316	10,407
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	1,978	92
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9,914	17,316

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-37 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	(261)	(176)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,645	3,814
გაუფასურების ხარჯი	949	691
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	345	301
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	(1,342)	(1,803)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	400	(7)
საკურსო სხვაობა ოპერაციების წარსაღგენ ვალუტაში	-	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,997	2,996
მარაგების ზრდა	(1,020)	828
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	2,671	(8,116)
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე მოთხოვნების ზრდა	(2,956)	(2,106)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	2,319	1,649
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე ვალდებულებების ზრდა	(11,273)	14,050
ანარიცხების შემცირება	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირება	-	(5)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,523)	9,120
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(3,937)	(3,724)
ძირითადი საშუალებების გასვლა	1,097	2,015
საინვესტიციო ქონების გასვლა	-	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	(17)	(22)
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,857)	(1,731)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	-	(572)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	(572)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(9,380)	6,817
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	17,316	10,407
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	1,978	92
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9,914	17,316

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 37 წამოიკვეთეს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების პარუფორმულ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დისკლამერებული გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „საქართველოს ფოსტა“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. ასევე, კომპანია ეწევა სიგარეტებისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციას, კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას, ფულადი გზავნილების მომსახურებას.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო. კომპანია იმყოფება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მმართველობაში. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2. კომპანიის გენერალური დირექტორია ლევან ჩიკვაძე. შპს „საქართველოს ფოსტა“ საქართველოს მასშტაბით 82 სერვის ცენტრით არის წარმოდგენილი.

2016 წლის ნოემბერში, შპს „საქართველოს ფოსტა“-მ საბერძნეთში დააფუძნა Georgian Post (Greece) I.K.E (140485301000, დირექტორი გიორგი კოლუაშვილი) 100% წილის ფლობით.

2018 წლის აპრილში იქნა გადაწყვეტილება მიღებული ჩეხეთის რესპუბლიკაში ფოსტის საერთაშორისო გაცვლითი ცენტრის დაფუძნებაზე, რომელიც დააფუძნეს 2018 წლის ივლისში შპს ჯორჯიან პოსტ (ჩეხ) 07294816. მის საქმიანობას წარმოადგენს საფოსტო მომსახურებების მიწოდება და საზღვარგარეთული საფოსტო მომსახურებების უზრუნველყოფა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია შპს „საქართველოს ფოსტა“. კაპიტალი განისაზღვრა 200,000 (ორასი ათასი) ჩეხური კრონით, რომელიც შეტანილი იქნა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ 12 ივლისს, რაც ლარში წარმოადგენდა 22 ათას ლარს.

ბიზნეს გარემო

ვინაიდან კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოში, იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრების თვისებებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის სხვადასხვაგვარ გადაფასებებსა და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა იურიდიულ თუ ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ქმნის სირთულეს საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ქართული ბიზნეს გარემოს მიერ კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

საქმიანობის სექტორი

კომპანია საქმიანობას ეწევა რამოდენიმე ბიზნეს სექტორში, რომელთაგან უდიდესია საფოსტო მომსახურების სექტორი და საცალო ვაჭრობა. ამას გარდა შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს სატვირთო გადაზიდვებს, ოპერირებს როგორც სატერმინალო მომსახურების აგენტი, ასევე აქვს პრესისა და ლატარიის გავრცელების მომსახურება.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან

მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	10-40
მანქანა დანადგარები	2-10
ავტოტრანსპორტი	2-12
ოფისის აღჭურვილობა	2-15

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ფას 16-ზე გადასვლა

ფას 16-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა პერსპექტიული მიდგომა.

თავდაპირველად კომპანია ფასიკ 4-ის შესაბამისად განსაზღვრავდა კონტრაქტი/შეთანხმება საწყისი აღიარებისას შეიცავდა თუ არა ლიზინგს. ფას 16-ის ფარგლებში კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ შეაფასა თუ რომელი ოპერაციები წარმოადგენს იჯარას. ფას 16 ეხება იმ კონტრაქტებს, რომლებიც წინა პერიოდში აღიარებული იყო როგორც იჯარა. შეთანხმებებზე, რომლებიც ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით არ იყო დაიდენტიფიცირებული როგორც იჯარა, ფას 16 არ ვრცელდება. შესაბამისად, იჯარის განმარტება ფას 16-ის მიხედვით ვრცელდება მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდში.

კომპანია გასულ პერიოდში იჯარის კლასიფიცირებისთვის იჯარა საოპერაციო იყო თუ ფინანსური, ეყრდნობოდა იმის შეფასებას იყო თუ არა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაცემული მოიჯარისთვის. ფას 16-ის მიხედვით კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის უმეტეს შემთხვევაში.

კომპანია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრისთვის, საოპერაციო იჯარის აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად არ ითვალისწინებს საწყის პირდაპირ დანახარჯებს. ამ თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად გამოიყენა იჯარის ვალდებულების ტოლი ოდენობა კორექტირებული იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანია იყენებს აქტივის გამოყენების უფლების აღიარებისგან გათავისუფლების გამონაკლისს შემდეგ საოპერაციო იჯარებთან მიმართებით:

- იჯარები, რომელთა ვადა იჭურება სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში;
- დაბალი ღირებულებების მქონე იჯარები.

იჯარები, რომლებიც წინათ აღრიცხული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე. სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ფას 16-ის მიხედვით, ლარში გაფორმებულისთვის 11.5%.

თავდაპირველად, ფასს 16-ის გამოყენებისას, კომპანიამ გამოიყენა აღნიშნული სტანდარტით ნებადართული პრაქტიკული მეთოდი რეტროსპექტული მიდგომის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, როდესაც კონტრაქტი მოიცავს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონებს.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის მიღების ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31.12.2019	გადასვლის ეფექტი	31.12.2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	-	2,234	2,234
საიჯარო ვალდებულებები	-	2,234	2,234

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ალუტაში, ლარში, გარიგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი გადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღგ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით. მარაგების საწყისი ღირებულება აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შეძენა-შექმნა-გადამუშავებასთან დაკავშირებულ და მათ არსებულ მდებარეობა-მდგომარეობაში მიყვანის ხარჯებს.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით. 2019 წ. 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრულ იქნა ამ თარიღისათვის მათი რეალური ღირებულებით („მიღებული ღირებულებით“).

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

გენერაციის ობიექტების ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადაა 25 წელი.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთავით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებლების მიერ და კლასიფიცირდება კაპიტალად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ის 50,066 ათასი ლარის ტოლია და იცვლება პერიოდულად, საწყისი კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესაბამისად, როდესაც ასეთი მოხდება.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. კომპანიის მიერ არაფულადი აქტივების განაწილება სცილდება IFRIC 17-ის „არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებისათვის“ ფარგლებს, ვინაიდან საბოლოო მაკონტროლებელი მხარე აკონტროლებს აქტივს განაწილებამდე და მის შემდეგ.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურზაცია;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2016 წლის პირველი იანვრიდან.

ბასს 16 და ბასს 38-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს სრულ საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთაზე/ამორტიზაციაზე არსებულ მიდგომას კომპანიის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი არ იყენებს გადაფასების მოდელს, ეფექტი არ ვრცელდება კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე

- ბასს 19-ის შესწორება სახელწოდებით „დადგენილი შეღავათების სისტემა: თანამშრომლების შენატანები (გამოცემულია 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება მუშაობის პერიოდზე თანამშრომლების ან სერვისთან დაკავშირებული მესამე პირების მიერ განხორციელებული კონტრიბუციების განაწილება. კონკრეტულად, კონტრიბუციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნამუშევარი წლების რაოდენობაზე, შესაძლებელია აღიარებული იყოს მომსახურების ხარჯების შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა (მუშაობის პერიოდზე გადანაწილების ნაცვლად).
- ბასს 24-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება ისეთი სუბიექტებისთვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის სერვისის მომწოდებლებს.
- ბასს 40-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამიჯვნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).
- ფასს 3-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ სამომავლო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. ასევე შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილაცია საოპერაციო სეგმენტის სრულ აქტივებსა და კომპანიის აქტივებს შორის აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.
- ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 13-ში არსებული პორტფელის გამონაკლისი, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისთვის.

- ბასს 1-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენაზე.
- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ:
 - შემოსავლის მეთოდით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებაში ძირითადად სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა;
 - შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა.
- ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოცემულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და, ძირითად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.
- ბასს 19-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.
- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.
- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდებით „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის

კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას, შესაბამისად, შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდებში.

- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.
მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.
- ფასს 16 „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და იჯარის ასახვის პრინციპები. ყველა იჯარა იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო იჯარად ან ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას,

როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი იჯარისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო იჯარებად ან ფინანსურ იჯარებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის იჯარას. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 31-დეკ-2018	9,628	25,403	1,359	5,357	2,673	10,585	54,944
შეძენა	-	5,427	390	1,291	670	1,706	9,478
გასვლა	(42)	(4,158)	(338)	(1,550)	(765)	(403)	(7,256)
ბალანსი 31-დეკ-2019	9,586	26,672	1,411	5,098	2,578	11,888	57,233
ბალანსი 31-დეკ-2018	-	(4,885)	(586)	(3,253)	(1,318)	(4,570)	(14,612)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(1,041)	(194)	(981)	(407)	(811)	(3,434)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	460	153	1,258	540	222	2,633
ბალანსი 31-დეკ-2019	-	(5,466)	(627)	(2,976)	(1,185)	(5,159)	(15,413)
ბალანსი 31-დეკ-2018	9,628	20,518	773	2,104	1,355	6,015	40,393
ბალანსი 31-დეკ-2019	9,586	21,206	784	2,122	1,393	6,729	41,820

საინვესტიციო ქონება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	საინვესტიციო ქონება
ბალანსი 31-დეკ-2018	323	2,457	2,780
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2019	323	2,457	2,780
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2018	-	(139)	(139)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(139)	(139)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2019	-	(278)	(278)
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2018	323	2,318	2,641
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	323	2,179	2,502

არამატერიალური აქტივები	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 31-დეკ-2018	96	5	155	256
შეძენა	202	-	-	202
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2019	298	5	155	458
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2018	(75)	(5)	(17)	(97)
ამორტიზაციის ხარჯი	(40)	-	(31)	(71)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2019	(115)	(5)	(48)	(168)
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2018	21	-	138	159
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	183	-	107	290

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები პირობითად სამ ძირითად კატეგორიად იყოფა - ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები.

6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს მოძრაობას საკონტრაქტო ვალუტების შესაბამისად:

	ლარი
ბალანსი 31.12.2018	-
ახალ სტანდარტებზე გადასვლის ეფექტი	2,234
ბალანსი 31.12.2019	2,234

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	(833)
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(281)

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნედლეული და მასალები	1,733	1,528
საქონელი	2,290	1,493
მარკების საწყობი	1,069	1,055
საწვავი	43	39
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2	2
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(1,193)	(1,193)
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,944	2,924

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს გასაყიდად გამიზნული მარაგები. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგები ძირითადად მოიცავს საქონელს, რომელის რეალიზაცია ხდება ექსპრესის ჯიხურების მეშვეობით.

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

8. მოთხოვნები საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ

საქმიანობიდან გამომდინარე კომპანიას აქვს მოთხოვნები სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ.

მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ავსტრიის ფოსტა	116	160
აშშ საფოსტო ადმინისტრაცია	438	325
გერმანიის ფოსტა	2,172	1,383
დიდი ბრიტანეთის ფოსტა	499	259
თურქეთის ფოსტა	428	229

ინდოეთის ფოსტა	127	57
ისრაელის ფოსტა	331	401
იტალიის ფოსტა	130	78
ბელგიის ფოსტა	211	105
ნიდერლანდების ფოსტა	241	239
რუსეთის ფოსტა	680	429
საფრანგეთის ფოსტა	504	296
სინგაპურის ფოსტა	1,360	1,122
უკრაინის ფოსტა	532	330
შვედეთის ფოსტა	108	111
ჩინეთის ფოსტა	2,876	2,607
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	1,192	858
სულ მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	11,945	8,989

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარე და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს გარდა საექვო მოთხოვნების რეზერვში მოყვანილი დებიტორებისა, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12,651	14,329
სხვა მიმდინარე აქტივები	3,969	3,271
სავაჭრო მოთხოვნები	-	2,414
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	186	147
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	123
წინასწარ გადახდილი გადასახადები	244	107
საფოსტო დებიტორი გადაცემული სასამართლოზე	66	59
მოთხოვნები მოვალე ფ/პ მიმართ	104	49
გაურკვევლი დებიტორები	76	34
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	20	10
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	1	1
აუქციონიდან გაყიდული უძრავი ქონება	5	1
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(5,638)	(6,190)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,684	14,355

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,237	12,290
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,303	3,943
სალარო	1,374	1,083
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,914	17,316

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. ვალდებულებები საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ**ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ**

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
რუსეთის ფოსტა	1,589	9,562
საფრანგეთის ფოსტა	244	2,037
დიდი ბრიტანეთის ფოსტა	2,205	2,011
ისრაელის ფოსტა	616	1,651
აშშ საფოსტო ადმინისტრაცია	706	1,563
ყაზახეთის ფოსტა	1,609	1,120
გერმანიის ფოსტა	943	714
თურქეთის ფოსტა	889	470
იტალიის ფოსტა	441	393
შვეიცარიის ფოსტა	109	134
ჩინეთის ფოსტა	122	99
კანადის ფოსტა	80	52
აზერბაიჯანის ფოსტა	56	40
პოლონეთის ფოსტა	206	38
შვედეთის ფოსტა	35	27
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	2,859	4,073
სულ ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	13,923	23,984

წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ვალდებულებები საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ, რაც განპირობებულია საფოსტო მომსახურების შემცირებით ა.შ.შ.-ს, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის და საფრანგეთის მიმართულებებზე.

12. კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,846	2,986
სხვა დარიცხული ვალდებულებები	1,251	1,696
მიღებული ავანსები	2,579	1,552
სახელფასო ვალდებულებები	354	302
შეცდომით ჩარიცხული თანხები	47	47
სხვა ვალდებულებები	2	177
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,079	6,760

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია დავალიანებით დამფუძნებლის წინაშე რომელიც ორი მნიშვნელოვანი პუნქტისგან შედგება და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებებით, რომლის უდიდეს ნაწილს შპს EXPRESS-ის წინაშე 2012-2016 წლებში წარმოქმნილი ვალდებულება შეადგენს.

გრძელვადიანი ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ვალდებულებები წარმოქმნილი საქართველოს ლატარიის კომპანიიდან	5,646	5,646
ვალდებულებები ფოსტის ძველი შენობის რეალიზაციის საფუძველზე	3,000	3,000
საიჯარო ვალდებულებები	2,234	
ვალდებულებები შპს EXPRESS-ის წინაშე	404	404
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	28	28
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,112	9,078

აღნიშნული ვალდებულებიდან 5 646 ათასი ლარი წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ვალდებულებას მისი ერთპიროვნული დამფუძნებლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე. 2015 წელს, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“-ს მიერ, რომლის დამფუძნებელი ასევე არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. სააგენტოსთვის დათმობილ იქნა მოთხოვნა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიმართ, 5 646 ათასი ლარის ოდენობით (შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრება #16/11/2015). შესაბამისად, მას შემდეგ (2015 წლის შემდეგ), შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ანგარიშგებაში, აღნიშნული თანხა ასახულია, როგორც ვალდებულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე. აღნიშნული თანხის დაფარვას მშობელი კომპანია არ ითხოვს მოკლე ვადიან პერიოდში, თუმცა ასევე არ არის დადგენილი ზუსტი გადახდის დრო/გრაფიკი, რის გამოც აღნიშნული ვალდებულება, სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებისგან განსხვავებით, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარდგენილი დისკონტირებული ღირებულებით.

3 000 ათასი ლარი არის 2016 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება #1/1- 3412 – ის საფუძველზე შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ანგარიშზე ჩარიცხული თანხა. აღნიშნულ ვალდებულებაზეც არ არის განსაზღვრული გადახდის ვადები და მისი ღირებულებაც წარდგენილია დისკონტირების გარეშე.

2,234 ათასი ლარი არის ფასს 16- ის დანერგვის შემდეგ წარმოქმნილი საიჯარო ვალდებულებები.

14. კაპიტალი

2019 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N1/1-5207 ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალში განხორციელდა 2,714 ათასი ლარის ღირებულების შენობის შეტანა. კაპიტალში შენატანი შესულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასებული ღირებულებით.

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალიდან განხორციელდა არაფულადი აქტივების გატანა, რომელიც შეფასებული იყო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 388 ათას ლარად.

2018 წელს განმავლობაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ თავისი N1/1-47, N1/1-785, N1/1-897 და N1/1-998 ბრძანებების საფუძველზე კომპანიის კაპიტალიდან გაიტანა 572 ათასი ლარის ღირებულების არაფულადი აქტივი. აღნიშნული ცვლილების შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს საქართველოს ფოსტის საწესდებო კაპიტალმა 47,740 ათასი ლარი შეადგინა.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას ერიცხებოდა 125 ათასი ლარის ოდენობის აკუმულირებული ზარალი. 2018 წლის განმავლობაში შპს საქართველოს ფოსტამ მიიღო 876 ათასი ლარის ზარალი და პერიოდის ბოლოსათვის მის ანგარიშებზე იყო აკუმულირებული 1,002 ათასი ლარის ზარალი.

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის წმინდა კაპიტალი 46,738 ათას ლარს შეადგენდა.

15. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2019 წელი	2018 წელი
შემოსავლები საფოსტო მომსახურებიდან	28,705	42,189
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	27,869	33,585
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	12,862	10,357
შემოსავალი საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციებიდან	7,772	8,152
შემოსავალი ტვირთის გადაზიდვიდან	3,803	5,051
შემოსავლები ლატარიიდან	2,095	2,089
შემოსავალი იჯარიდან	567	361
შემოსავალი პრესის გავრცელებიდან	167	155
სხვა შემოსავალი	38	35
სულ	83,878	101,974

შპს საქართველოს ფოსტა ოპერირებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორებში. მისი ძირითადი ოპერაციებია: საფოსტო მომსახურება, სატვირთო გადაზიდვები, სატერმინალო მომსახურება და ვაჭრობა. ამას გარდა კომპანიას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლები ლატარიის გავრცელებიდან და იჯარიდან.

არასაოპერაციო შემოსავლები	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო შემოსავლები	344	301
შემოსავალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	2,607	215
სხვა შემოსავლები	810	182
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	3,761	698

რაც შეეხება არასაოპერაციო შემოსავლებს მათ უდიდეს ნაწილს ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს.

16. ხარჯები

კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს პერსონალის ხარჯები შეადგენს, რომელიც თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა.

პერსონალის ხარჯი	2019 წელი	2018 წელი
ხელფასი	25,454	23,749
საპენსიო ხარჯი	375	
დაზღვევა	24	495
პრემია	695	677
სულ	26,548	24,921

საოპერაციო ხარჯები მოყვანილია ქვემოთ მდებარე ცხრილში.

საოპერაციო ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
საზღვარგარეთის საფოსტო მომსახურების ხარჯი	8,518	23,586
ტრანსპორტირების და გადაზიდვის ხარჯი	6,092	7,745
საწვავის ხარჯი	3,440	3,473
ტერმინალის ხარჯი	550	472
იჯარის ხარჯი	1,630	860
სხვა ხარჯები	1,385	1,588
კომუნალური ხარჯი	1,264	1,248
მიმდინარე რემონტის ხარჯი	1,010	778
საკანცელარიო ხარჯები	385	604
რეკლამის ხარჯი	628	589

კომუნიკაციის ხარჯი	456	468
სამეურნეო ხარჯი	228	421
საექსპლუატაციო ხარჯი	267	420
კომპიუტერის ხარჯები	416	360
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	344	344
მივლინების ხარჯი	868	293
დაცვის ხარჯი	312	291
საკომისიო ხარჯი	28	165
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი	206	141
საბანკო მომსახურების ხარჯი	131	84
საწევრო გადასახადის ხარჯი	67	73
GPRS და სალარო აპარატების მომსახურება	66	64
ტრენინგის ხარჯი	130	50
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	234	36
იურიდიული მომსახურება	15	1
წარმომადგენლობითი ხარჯი	29	172
	28,699	44,327

როგორც ცხრილიდან ჩანს 2019 წელს მკვეთრად შემცირდა საზღვარგარეთის საფოსტო მომსახურების და საექსპლუატაციო ხარჯები რაც განპირობებული იყო საფოსტო მომსახურების შემცირებით.

17. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავდროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ)

ფასიან ქალაქებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

	GEL	USD = 2.6766	EUR = 3.0701	სხვა ვალუტა	ჯამი
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტი	5,220	2,071	2,622	1	9,914
საბანკო გარანტიები	200	13	-	-	213
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	11,684				12,096
მოთხოვნები საფოსტო ადმინისტრაციებთან	-	438	2,806	8,701	11,945
სულ ფინანსური აქტივები	17,104	2,522	5,428	8,702	34,168
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	8,727	-	-	-	8,727
ვალდებულებები საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	-	1,609	1,628	9,472	12,709
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	362				362
გრძელვადიანი ვალდებულება	432				432
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	8,646				8,646
გადასახდელი ხელფასები	352				352
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,519	1,609	1,628	9,472	31,228
სავალუტო პოზიცია	-1,415	913	3,800	-770	2,940

	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	ო	ო	ო	ო
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/ზარალი	(183)	183	(760)	760

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც

გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, ასევე სხვა მიმდინარე აქტივებს, რომელთაც მაღალი ლიკვიდურობა ახასიათებთ. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. კომპანიის აქტუალური ლიკვიდურობის პორტფელი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,944
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,684
ფული და ფულის ექვივალენტები	9,991
დეპოზიტები	37
საბანკო გარანტიები	213
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	11,945
ჯამი	37,737

მიმდინარე ვალდებულებები

ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	12,709
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	362
ანარიცხები	103
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,079
ჯამი	22,253

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

დასახელება	31-დეკ-19		31-დეკ-18	
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	9,664	9,664	17,316	17,316
დებიტორული მოთხოვნები	17,322	11,684	20,545	14,355
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	11,945	11,945	8,989	8,989
კრედიტორული დავალიანება	9,441	9,441	30,742	30,742
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	12,709	12,709	23,982	23,982
გრძელვადიანი ვალდებულებები	11,312	11,312	9,078	9,078

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას აქვს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, იგი ემსახურება საქართველოს მთავრობას როგორც საფოსტო და საფელდეგრო სერვისების პროვაიდერი.

მისი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად არის განხილული ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2019 წელი	2018 წელი
საერთო დამფუძნებელი	1,233	1,190
შვილობილი	717	292
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2019 წელი	2018 წელი
საერთო დამფუძნებელი	67	-
დამფუძნებელი	8,646	8,674
შვილობილი	77	-
შემოსავალი	2019 წელი	2018 წელი
საერთო დამფუძნებელი	6,068	6,836
შვილობილი	1,090	767
საოპერაციო ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
საერთო დამფუძნებელი	851	743
შვილობილი	154	51

ძირითადად მენეჯმენტმა მიიღო თანამშრომელთა ხარჯებში აღრიცხული შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2019 წელი	2018 წელი
ხელფასები და პრემიები	1,171	1,059

მენეჯმენტში გათვალისწინებულია გენერალური დირექტორის, მისი 3 მოადგილისა და 8 დეპარტამენტის უფროსის ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული ხარჯები.

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

- კომპანიის 100% მფლობელი არის სახელმწიფო.
- კომპანიის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების და სერვისების შეთავაზებაში.
- კომპანია წლების განმავლობაში ვითარდება, რაც გამოიხატულია ყოველწლიური ბუნების ზრდით, აგრეთვე კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულებით.
- კომპანია გახლავთ ბაზარზე ძირითადი მოთამაშე, ყველა ძირითად ბიზნეს საქმიანობაში (საფოსტო საქმიანობა, გადაზიდვის მომსახურება და საცალო ვაჭრობა).

კომპანიას აქვს შემუშავებული სამომავლო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია ქვემოთ მოყვანილი მოღვაწეობის სფეროების განვითარებაზე:

- საფოსტო საკურიერო მომსახურების განვითარება.
- ელექტრონული კომერციის განვითარება.
- ფინანსური პროდუქტების განვითარება.
- სატრანზიტო გზავნილების გატარება.

აღსანიშნავია, რომ არსებობს დამფუძნებლის მხრიდან ზოგადი განზრახვა შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“-ს პრივატიზებასთან მიმართებაში, თუმცა, ამის მიუხედავად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის, ასევე მისი დამტკიცების თარიღის მდგომარეობით, არ არსებობს რეალური საფუძველი ან/და ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კომპანიის ან/და მისი წილის გასხვისების/პრივატიზების რეალურ წინაპირობას შექმნიდნენ. ამასთანავე, შესამუშავებელია ნორმატიული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კანონის დონეზე დაარეგულირებს საფოსტო საქმიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ან/და მისი წილის გასხვისება/პრივატიზება არ მოიაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან, ასევე მისი დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ მომდევნო 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მოვლენებში შეიძლება ყურადღება გამახვილდეს კოვიდ 19 პანდემიის გამო მომხდარ მოვლენებზე. კერძოდ სახელმწიფო რეგულაციებიდან გამომდინარე, მოხდა თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით დიდი ოდენობით დამცავი და სადენზიფიკაციო საშუალებების ყიდვა-გახარჯვა.

პამდემიამ აგრეთვე გავლენა იქონია კომპანიის შემოსავლების კლებაზე. კერძოდ საგრძნობლად შემცირდა შემოსავლები:

1. შიდა სატრანსპორტო გადაზიდვებიდან
2. შემოსავლები ტვირთების სატერმინალო მომსახურებიდან
3. შემოსავლები თამბაქოს და ჯიხურებში განთავსებული სხვადასხვა საქონლია რაელიზაციიდან

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები


საანგარიშო პერიოდის შენდეგ მოვლენებში შეიძლება ყურადღება გამახვილდეს კოვიდ 19 პანდემიის გამო მომხდარ მოვლენებზე. კერძოდ სახელმწიფო რეგულაციებიდან გამომდინარე, მოხდა თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით დიდი ოდენობით დამცავი და სადენზიფიკაციო საშუალებების ყიდვა-გაზარჯვა.

პანდემიამ აგრეთვე გავლენა იქონია კომპანიის შემოსავლების კლებაზე. კერძოდ საგრძნობლად შემცირდა შემოსავლები:

1. შიდა სატრანსპორტო გადაზიდვებიდან
2. შემოსავლები ტვირთების სატერმინალო მომსახურებიდან
3. შემოსავლები თამბაქოს და ჯიბურებში განთავსებული სხვადასხვა საქონლია რაელიზაციიდან

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:



ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:



10 ნოემბერი 2020 წ.

თბილისი, საქართველო

შპს “საქართველოს ფოსტა”

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს თანმხლები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

PKF KAIZEN JSC

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

10 ნოემბერი, 2020 წელი

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“



10 ნოემბერი, 2020 წელი

შპს „საქართველოს ფოსტა“

2019 წლის

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის შესახებ..... 6
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები..... 7
3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები..... 7
4. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები..... 10

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

5. ორგანიზაციული სტრუქტურა..... 11

არაფინანსური ანგარიშგება

6. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებები..... 12

1. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს ფოსტა“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 203836233, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი №2.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო. კომპანია იმყოფება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მმართველობაში. კომპანიის გენერალური დირექტორია ლევან ჩიკვაძე.

საქართველოს ფოსტა წარმოადგენს ეროვნულ საფოსტო ოპერატორს, რომლის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. ასევე, კომპანია ეწევა თამბაქოსა და სხვა პროდუქციის რეალიზაციას, კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებასა და საფოსტო ფულადი გზავნილების მომსახურებას.

საქართველოს ფოსტა გახლავთ საერთაშორისო საფოსტო კავშირების UPU-ს და PostEurope-ის წევრი, PostEurop-ი წარმოადგენს ევროპის საზოგადოებრივ საფოსტო კავშირს, რომელიც 1993 წელს დაარსდა ბრიუსელში და აერთიანებს 49 ქვეყნის 52 საფოსტო ოპერატორს. ხოლო UPU გახლავთ, უნივერსალური საფოსტო კავშირი რომელიც 1874 წელს დაფუძნდა შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში და აერთიანებს 192 ქვეყანას, იგი მსოფლიოში ერთ-ერთ უძველესი საერთაშორისო ორგანიზაციაა. ამასთანავე, საქართველო პირველად გახდა მსოფლიო საფოსტო კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს CA-ს და საფოსტო ოპერაციების საბჭოს POC-ს წევრი, ასევე მსოფლიო საფოსტო კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს CA-ს თავმჯდომარის მოადგილე ქვეყანა. კომპანიაში მრავალი ძირეული რეფორმა გატარდა როგორც საოპერაციო, ასევე სერვისების განვითარების მიმართულებით. განხორციელდა კომპანიის რებრენდინგი, განახლდა სერვის ცენტრები, მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, შეიქმნა ახალი სამუშაო სტანდარტები და დაინერგა უახლესი ტექნოლოგიები, რამაც საქართველოს ფოსტის სანდო და მნიშვნელოვან პარტნიორად აღიარება განაპირობა და დღეს საქართველოს ფოსტა მსოფლიოს 191 ქვეყანასთან წარმატებით თანამშრომლობს.

შპს „საქართველოს ფოსტა“, საქართველოს მასშტაბით, 81 სერვის ცენტრით არის წარმოდგენილი და ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია საქართველოში, სადაც დასაქმებულია 3,000-მდე თანამშრომელი. 2016 წლის ნოემბერში, შპს „საქართველოს ფოსტა“-მ საბერძნეთში დააფუძნა Georgian Post (Greece) I.K.E 100% წილის ფლობით. 2018 წლის აპრილში იქნა გადაწყვეტილება მიღებული ჩეხეთის რესპუბლიკაში ფოსტის საერთაშორისო გაცვლითი ცენტრის დაფუძნებაზე, რომელიც დააფუძნდა 2018 წლის ივლისში შპს ჯორჯიან პოსტ (ჩეხ) 07294816. მის საქმიანობას წარმოადგენს საფოსტო მომსახურებების მიწოდება და საზღვარს გარეთ საფოსტო მომსახურებების უზრუნველყოფა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია შპს „საქართველოს ფოსტა“.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს, როგორც ეროვნული ოპერატორის მიზანს წარმოადგენს:


- უნივერსალური საფოსტო მომსახურების, როგორც ვალდებულების სრულყოფილად შესრულება;
- საფოსტო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მომხმარებლისათვის ახალი საფოსტო პროდუქტების შეთავაზება;
- მსოფლიო ბაზარზე არსებული საფოსტო პროდუქტების დანერგვა კერძოდ: ელექტრონული კომერციის მიმართულებით და არსებული პროდუქტების განვითარება, მაგალითად როგორც გახლავთ საფოსტო პროდუქტი მალეოს, ჰიბრიდული ფოსტა, საფოსტო ფულადი გზავნილები და სხვადასხვა საბანკო თუ ფინანსური პროდუქტები. ამასთანავე საფოსტო ტრანზიტული ტვირთების გატარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი და რეგიონალური ლოჯისტიკური ქსელების განვითარება;
- საფოსტო ტერმინალის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- ახალი საფოსტო გაცვლის ცენტრის და ტერმინალის მშენებლობა.

ახალი საფოსტო პროდუქტების დანერგვის შედეგად, კომპანიის მიზანია უზრუნველყოს როგორც კორპორატიული, ასევე საცალო მომხმარებლის დაინტერესება, მოზიდვა და საფოსტო პროდუქტებზე მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ტერმინალის მშენებლობისა და სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების შედეგად, კომპანია შეძლებს ფოსტის გაცვლისა და დახარისხების პროცესის ერთ სივრცეში მოქცევას, რაც გაზრდის გზავნილთა განვლადობის სიჩქარეს, შეძლებს ხარჯებისა და პროცესების ოპტიმიზაციასა და დიდი მოცულობით სატრანზიტო გზავნილების გატარებას. საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავს: კომპანიის არსებული სერვის ცენტრების სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ახალი ერთგვაროვანი სერვის ცენტრების მშენებლობას, სერვის ცენტრების უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვას, საფოსტო ტერმინალის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას და საფოსტო ტერმინალის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვას.

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები


შპს საქართველოს ფოსტა ოპერირებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორებში. მისი ძირითადი მიმართულებებია: საფოსტო მომსახურება, სატვირთო გადაზიდვები, სატერმინალო მომსახურება (ლოჯისტიკური მომსახურება) და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის შემოსავლის პროცენტული გადანაწილება 2018-2019 წლებში ბიზნეს მიმართულებების მიხედვით:



საქართველოს ფოსტა 2019 წელს მოემსახურა 100,000-ზე მეტ ფიზიკურ პირსა და 4,000-მდე კორპორატიულ კლიენტს.

კომპანიის შემოსავალი 2019 წელს წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით 15%-ით შემცირდა.




საქართველოს ფოსტა 2019 წელს მიღწეული ხარისხობრივი მომაცემებით ინარჩუნებს ლიდერ პოზიციებს მსოფლიოს საფოსტო ადმინისტრაციებს შორის. ამ კუთხით საერთაშორისო შეფასების სისტემის მიხედვით, კომპანიის მაჩვენებელი პროდუქტების ჭრილში, შემდეგია:

- წერილობითი კორესპონდენცია - 96.4%;
- ამანატი - 96.9%;
- EMS გზავნილი - 97.9%.

2019 წელს, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო გზავნილის მიღება, დამუშავება და გაგზავნა 2018 წელთან შედარებით, ჯამში, 15%-ითაა შემცირებული.

საფოსტო გზავნილი	2019		2018	
	რაოდენობა (ცალი)	წონა (კგ)	რაოდენობა (ცალი)	წონა (კგ)
წერილობითი კორესპონდენცია	5,192,457	381,325	6,261,773	379,359
ამანათი	129,648	329,978	146,218	253,100
საჰაერო ამანათი	34,474	286,617	35,277	304,559
EMS გზავნილი	31,329	159,584	31,944	194,127
ელ. კომერციის ამანათი	14,545	7,043	5,504	2,059
ავია გზავნილი	2,790	3,648	2,412	3,924
სხვა	102,785	383,334	495	2,354
სულ:	5,508,028	1,551,529	6,483,623	1,139,483

2019 წლის მონაცემების მიხედვით, საფოსტო გზავნილთა მიმართულება რაოდენობის პროცენტულ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:



კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, 2018-2019 წლებში:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	2019	2018
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.69	1.41
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.52	1.32
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	0.98	1.17
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	7.22	8.51

კომპანიის შემოსავლების და საოპერაციო მოგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგებაში.

4. კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ვინაიდან საქართველოს ფოსტა საქმიანობას აწარმოებს საქართველოში, იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრების თვისებებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის სხვადასხვაგვარ გადაფასებებსა და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა იურიდიულ თუ ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ქმნის სირთულეს საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის.

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში; ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს. რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე, გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

5. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

მისია

საქართველოს ფოსტის საქმიანობა ეფუძნება მომხმარებელთან, პარტნიორებთან და პერსონალთან გრძელვადიანი თანამშრომლობის პრინციპებს. კომპანიის მისიაა პროფესიონალიზმითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით შექმნას მომსახურების უმაღლესი სტანდარტი. უნივერსალური საფოსტო მომსახურების პრინციპებიდან გამომდინარე, დაიცვას და უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის უფლება, შეუფერხებლად მიიღოს საფოსტო მომსახურება.

ხედვა

კომპანიის ხედვაა, მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნების გზით მოიპოვოს მომხმარებლის ლოიალურობა, იყოს სანდო პარტნიორი როგორც მომხმარებლისთვის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციებისათვის. პროფესიონალებით დაკომპლექტებულ სერვის ცენტრებში მაღალი სტანდარტის მომსახურება და თითოეული გზავნილის ადრესატამდე უვნებლად და დროულად მიტანა განაპირობებს კომპანიის წარმატებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. კომპანია გეგმავს ლოჯისტიკური ხაზის გაფართოების გზით გახდეს ლიდერი საფოსტო ოპერატორი რეგიონში.

კომპანიის მმართველობითი ორგანოები

კომპანიის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენს:

- პარტნიორთა საერთო კრება;
- გენერალური დირექტორი;

პარტნიორთა საერთო კრება

კომპანიაში პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო“.

ქონების მართვის სააგენტო ამტკიცებს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წლიურ ბიზნეს გეგმას, ითანხმებს გადაწყვეტილებებს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს კუთვნილებაში არსებული მსხვილი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით და ახორციელებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

გენერალური დირექტორი

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორი. გენერალური დირექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით განსაზღვრული სტანდარტულ უფლება-მოვალეობებს.

კომპანიის სტრუქტურა

გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის მიმდინარე საქმიანობას კომპანიაში არსებული სტრუქტურის შესაბამისად.

6. არაფინანსური ანგარიშგება

შპს „საქართველოს ფოსტა“ აქტიურად არის ჩაბმული სხვადასხვა სოციალურ პროექტში. 2015 წლიდან იგი წევრია გაერთიანებული საფოსტო კავშირის, რომელიც წარმოადგენს 2013 წლის 12 აპრილიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო პირს.

ააიპ გაერთიანებული საფოსტო კავშირის საქმიანობის მიზანია:

- საფოსტო საქმიანობის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან და საფოსტო საქმიანობის ხელშეწყობ სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- საფოსტო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მხარდაჭერა, სოციალური უფლების დაცვა, საიუბილეო ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების მოწყობა, ფესტივალების ჩატარების ორგანიზება და საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

2018- წლიდან შპს „საქართველოს ფოსტა“ შეუერთდა პროექტს „ბიზნესი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“, რომელიც გულისხმობს ქალთა გაძლიერებას სამი მიმართულებით - დასაქმების ადგილზე, შრომის ბაზარსა და საზოგადოებაში. ქალთა გაძლიერების პრინციპების თემაზე ღონისძიება გამართეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდამ“ და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, სადაც იმსჯელეს გენდერული თანასწორობის საკითხში ბიზნესის როლზე და საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობაზე. შეხვედრის დასასრულს ბიზნესის წარმომადგენლებმა საჯარო ხელმოწერით დაადასტურეს საკუთარი მხარდაჭერა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გლობალური შეთანხმების ერთობლივი ინიციატივის ქალთა გაძლიერების პრინციპების მიმართ (WEPS). ამჟამად აღნიშნულ საერთაშორისო ინიციატივას საქართველოში მოქმედი 26 წამყვანი ბიზნეს კომპანია უჭერს მხარს, მათ შორისაა „საქართველოს ფოსტა“.

საქართველოს ფოსტა მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, როგორიცაა ბიზნეს ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატი და ინტელექტუალური ლიგა „რა, სად, როდის“.

დირექტორი:

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

ლევან ჩიკვაიძე

ლაშა ჯაფარიძე

6. არაფინანსური ანგარიშგება

შპს „საქართველოს ფოსტა“ აქტიურად არის ჩაბმული სხვადასხვა სოციალურ პროექტში. 2015 წლიდან იგი წევრია გაერთიანებული საფოსტო კავშირის, რომელიც წარმოადგენს 2013 წლის 12 აპრილიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო პირს.

ააიპ გაერთიანებული საფოსტო კავშირის საქმიანობის მიზანია:

- საფოსტო საქმიანობის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან და საფოსტო საქმიანობის ხელშეწყობ სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- საფოსტო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა მხარდაჭერა, სოციალური უფლების დაცვა, საიუბილეო ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების მოწყობა, ფესტივალების ჩატარების ორგანიზება და საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

2018- წლიდან შპს „საქართველოს ფოსტა“ შეუერთდა პროექტს „ბიზნესი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“, რომელიც გულისხმობს ქალთა გაძლიერებას სამი მიმართულებით - დასაქმების ადგილზე, შრომის ბაზარსა და საზოგადოებაში. ქალთა გაძლიერების პრინციპების თემაზე ღონისძიება გამართეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიღამე“ და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, სადაც იმსჯელეს გენდერული თანასწორობის საკითხში ბიზნესის როლზე და საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობაზე. შეხვედრის დასასრულს ბიზნესის წარმომადგენლებმა საჯარო ხელმოწერით დაადასტურეს საკუთარი მხარდაჭერა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გლობალური შეთანხმების ერთობლივი ინიციატივის ქალთა გაძლიერების პრინციპების მიმართ (WEPs). ამჟამად აღნიშნულ საერთაშორისო ინიციატივას საქართველოში მოქმედი 26 წამყვანი ბიზნეს კომპანია უჭერს მხარს, მათ შორისაა „საქართველოს ფოსტა“.

საქართველოს ფოსტა მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, როგორიცაა ბიზნეს ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატი და ინტელექტუალური ლიგა „რა, სად, როდის“.

დირექტორი:

ლევან ჩიკვაიძე



ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

ლაშა ჯაფარიძე

